



დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის, როგორც კვლევითი
საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების
სტრატეგია

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება უნივერსიტეტის მისიის და მისიის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებს, მიზნებს, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას (მასში ფორმულირებულ სტრატეგიებს, 7 წლიან და 3 წლიან სამიზნეებს და სამოქმედო გეგმას), ასევე მეცნიერებაზე დაფუძნებული სწავლების დტსუ-ის მიერ შემუშავებულ განვითარების კონცეფციას.

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერო კვლევათა გაუმჯობესების სტრატეგია

სტრატეგია გულისხმობს:

- (i) უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი კვლევების ჩატარებას და მეცნიერულ თანამშრომლობას;
- (ii) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებში ახალგაზრდობის ჩართვასა და მხარდაჭერას;
- (iii) კვლევითი მუშაობის მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესებას გაუმჯობესებისათვის;

(i) უცხოელ პარტნიორებთან საერთო კვლევებისა და თანამშრომლობის სტრატეგია გულისხმობს:

- ეროვნული და საერთაშორისო პროექტების შემუშავება, ამ კვლევებით უცხოელი პარტნიორების დასაინტერესებლად;
- ეროვნული კვლევების იდენტიფიკაცია უცხოელი პარტნიორების დასაინტერესებლად: მაგ. მონაცემთა შეგროვების, იშვიათი კეისების, გლობალური პრობლემების ადგილობრივი მახასიათებლების იდენტიფიკაციის საქმეში;
- თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი PhD პროგრამების და/ან PhD სტუდენტების ერთობლივი სამეცნიერო ხელმძღვანელობის (სუპერვიზორების) გასავითარებლად (ამ მომენტისათვის იმპლემენტირებულია ან მსვლელობაშია 14 ერთობლივი პროექტი);

(ii) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებში ახალი თაობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა;

- დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევებში და განმავითარებელ აქტივობებში: მათი აქტივობების მხარდაჭერით, ისევე როგორც საკვლევი პროექტების იმპლემენტაციის მხარდაჭერითა და სუპერვიზიით;
- დამამთავრებელი სტუდენტების ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით მათი დაინტერესება და ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

- სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო ინიციატივითა მხარდაჭერა;
- PhD სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებელი პროექტების განხორციელებასა და სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართვაში. გარდა ამისა, PhD სტუდენტების მხარდაჭერა უნივერსიტეტში შრომით მოწყობაში და მათ შემდგომ სპეციალიზაციაში

(iii) მექანიზმების განვითარება კვლევითი მუშაობის მხარდასაჭერად;

- შესაბამისი სერვისებით მხარდაჭერა;
- ცოდნის (კვლევის კომპეტენციების) გადაცემა (ტრანსფერი) შესაბამის საგანმანათლებლო კურსებში;
- სტუდენტებისა და მკვლევარების გაგზავნა საერთაშორისო ფორუმებში პრეზენტაციების, წარდგენების და დაოსტატების (ტრენინგების) მიზნით;
- თანამშრომლობის საინტერესო შესაძლებლობების მოკვლევა, იდენტიფიკაცია და შეთავაზება;
- განვითარებაზე და კვლევაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებასა და იმპლემენტაციაში აკადემიური და ფინანსური მხარდაჭერა

დტსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ინტერესი

ნორმისა და პათოლოგიის სტრუქტურული და ფუნქციური ბაზისი, დაავადებათა მართვის სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორები და უმაღლესი სამედიცინო განათლების პროფესიონალიზაცია.

უფრო კონკრეტულად ზ/ა-ის და აღებული ვალდებულებების მიხედვით გაგრძელება მიმდინარე და დაგეგმილი საკვლევი თემების დამუშავება და მათი ხელშეწყობა

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში მიმდინარე საკვლევი თემები

№	პროექტის დასახელება
1	„გალექტინ - გლიკანის ცვლილებათა საფუძვლები ასწვრივი აორტის ანევრიზმის პროგრესია - ინჰიბიციის დროს ქართულ პოპულაციაში“ (მონაცემთა შეგროვება გრძელდება, მიმდინარე)
2	მალნუტრიცია - ანთების კომპლექსური სინდრომი გულის ქრონიკული უკმარისობის დროს. (მიმდინარე).

3	„ექსფოლიაციური სინდრომის ეპიდემიოლოგია და ეპიდგენეტიკური მახასიათებლები საქართველოში.“ ოფთალმოლოგიის მიმართულებასთან ერთად. (საჭირო მანაცემთა შეგროვება გრძელდება)
4	„კლოსტრიდიუმ დიფიცილეს ეპიდემიოლოგიის შესწავლა ჰოსპიტალიზირებულ პედიატრიულ პაციენტებში პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდის გამოყენებით. (საჭირო მონაცემთა შეგროვება გრძელდება)
5	„სხეულის მასის კომპოზიციისა და ვისცერული ცხიმის მაჩვენებელთა შესწავლა ქართული პოპულაციის კარდიოვასკულური დაავადების პირველადი რისკის სხვადასხვა ჯგუფებში.“ (საჭირო მანაცემთა შეგროვება გრძელდება)
6	„წინაგულთა ფიბრილაციის დროს პოსტაბლაციური რეკურენტულობის რისკის შეფასება ზოგიერთი კლინიკურ-ლაბორატორიული მეთოდით.“ (საჭირო მანაცემთა შეგროვება გრძელდება)
7	„გულის ქრონიკული უკმარისობის განვითარების და პროგრესირების მედიატორის გალექტინ-3-ის რეგულაციის ასოციაცია ცილოვან-ენერგეტიკულ მალნუტრიციასთან.“
8	„პაციენტთა სისხლში პლაზმინოგენ-აქტივატორის ინჰიბიტორ ტიპი I-ის (PAI-1) საბაზისო დონეთა მნიშვნელობა აბლაციის ჩვენებათა დაზუსტებაში წინაგულთა ფიბრილაციის დროს.“
9	„იდიოპათური ფოკალური და იდიოპათური გენერალიზებული ეპილეფსიისა და შესაბამისი ანტიეპილეფსიური მკურნალობის გავლენა დაავადებული ბავშვების ძილის მახასიათებლებზე. ის ქრონიკული უკმარისობის განვითარების და პროგრესირების მედიატორის გალექტინ-3-ის რეგულაციის ასოციაცია ცილოვან-ენერგეტიკულ მალნუტრიციასთან.“
10	„ვესტის სინდრომის ეტიოლოგიური, კლინიკური და ელექტროენცეფალოგრაფიული თავისებურებები, მკურნალობის ტაქტიკა და შორეული გამოსავლის პრედიქტორები.“
11	“ ანაფილაქსიის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების შესწავლა საქართველოში“
12	“ ალერგიულ პაციენტებში ჯვარედინად მორეაგირე ალერგენების როლი კლინიკური ფენოტიპის ჩამოყალიბებაში“
13	“PAI-1-ის მონაწილეობა ფსორიაზის კარდიოვასკულარული რისკის პროფილთან ასოციაციის მექანიზმში“
14	“მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის კავშირი, არტერიული წნევის პარამეტრების პასუხზე დოზირებულ ფიზიკურ დატვირთვაზე, პაციენტებში ესენციური ჰიპერტენზიით“

15	„პედიატრიული არტერიული იშემიური ინსულტის ეტიოლოგიური, კლინიკური და ნეიროვიზუალიზაციური თვისებურებები, გამოსავალი და შორეული გამოსავლის პრედიქტორები.“
16	„ცერებრულ დამბლასთან (სტატიური ენცეფალოპათია) ასოცირებული ეპილეფსიის მართვა და პროგნოზი.“
17	„გადაუდებელი მდგომარეობების მართვა ძვალშიდა მიდგომით: ჩვენებები, გავლენა გამოსავალზე და გართულებები.“
18	„დაავადებათა ეტიოლოგიის, კლინიკური მიმდინარეობისა და მკურნალობის, პრევენციის, სკრინინგისა და ეპიდემიოლოგიის განმსაზღვრელი ფაქტორები.“
19	„ფეტალური პროგრამირება. ნუტრიციული სტატუსის გავლენა ფიზიკური განვითარების პარამეტრებსა და ავადობის სიხშირეზე ბავშვებში.“
20	„ფეტალური პროგრამირება: ფეტალური სტრესის გავლენა ბავშვთა ასაკში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის განვითარებაზე და პრევენციული პროგრამის შემუშავება.“
21	„ფსორიაზის და კარდიოვასკულარული დაავადებების ასოციაციის მექანიზმის კვლევა სხვადასხვა სიმძიმის და სამკურნალო რეჟიმზე მყოფ ფსორიაზით დაავადებულ პაციენტებში.“
22	„ანდროგენული ალოპეციის კლინიკურ-მორფოლოგიური თავისებურებების მიხედვით დაყოფა ფაზეზად, დიფერენციალური დიაგნოზი და მკურნალობა.“
23	„გარემო ფაქტორების გავლენა ადამიანის სასიცოცხლო პროცესებისთვის მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ პროცესებზე“.
24	მეტყველების და ენის გამოსავალი ბავშვებში ტიპური და ატიპური როლანდური ეპილეფსიით
25	„სწრაფი დიაგნოსტიკური მოლეკულური ტესტის, Xpert TB/RIF, კლინიკური ღირებულების შეფასება ნახველის ნაცხ უარყოფით, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში საქართველოში“
26	„საქართველოში ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი მედიკამენტების დანერგვის გავლენა პაციენტის კლინიკურ გამოსავალზე და ჯანდაცვის სისტემაზე“
27	მეტებოლური სინდრომის , როგორც წინაგულტა ფიბრილაციის რისკის ფაქტორის, ეპიდემიოლოგიისა და რისკის რეალიზაციის ზოგიერთი მექანიზმის შესწავლა ქართულს პოპულაციაში

28	ახლად აღმოცენებული წინაგულთა ფიბრილაციის რისკ- ფაქტორები მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით პაციენტებში
29	„ბარდაყის დიაფიზური მოტეხილობების ფიქსაცია ტიტანის ელასტიური სტაბილური ინტრამედულარული ღეროებით ბავშვთა ასაკში.“
30	„ცერვიკალური ინტრაეპითელური ნეოპლაზიის კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური თავისებურებები და პროგნოზული რისკის სტრატეფიკაცია (აჭარის რეგიონი).“
31	„თვალშიგა სამიზნე წნევის ფაქტორი კატარაქტის ფაკომულსიფიკაციის ინტრაოპერაციულ გართულებაში.“
32	„პროფესიონალიზმის სწავლების ინტეგრაცია დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში.“
33	„კლინიკური განსჯის უნარის სწავლების/განვითარების/შეფასების კრიტერიუმები დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში.“
34	„საქართველოს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში ლაბორატორიული ტესტების არარაციონალური გამოყენება, ინდივიდუალური პაციენტისთვის ტესტების შეკვეთაზე გავლენის მქონე ფაქტორები და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებელი საგანმანათლებლო სტრატეგიები.“
35	„საქართველოში ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი მედიკამენტების დანერგვის გავლენა პაციენტების კლინიკურ გამოსავლებზე და ჯანდაცვის სისტემაზე.“
36	„სწრაფი დიაგნოსტიკური მოლეკულური ტესტის, Xpert TB/RIF, კლინიკური ღირებულების შეფასება ნახველის ნაცხ-უარყოფით, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში საქართველოში.“
37	იმიტირებული გეომაგნიტური ველის ზემოქმედების გავლენა თავის ტვინის ქერქის რიტმული აქტივობაზე“
38	თავის ტვინის ქერქის რიტმული ელექტრული აქტივობა ფსიქიკური დატვირთვის დროს“
39	აუტისტური სპექტრისა და ეპილეფსიის კომორბიდობის ელექტროფიზიოლოგიური საფუძვლები“ (მიმდინარე)

განსახორციელებელი სამომავლო თემები

№	კვლევითი განაცხადი
1	ადრეული გამოვლენისა და ინტერვენციის სერვისის მიწოდების განხორციელება, ცერებრალური დამბლით გამოწვევის რისკის ქვეშ მყოფ ახალშობილებში, ჩვილების ფსიქომოტორული განვითარებისა და დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით”(მიმდინარე)
2	„ორსულის ფსიქოსომატური მახასიათებლების, პაციენტისა და ექიმის ურთიერთობის თავისებურებებისა და კლინიკის სერვისის ზეგავლენა სამეანო და პერინატალურ გამოსავალზე“ მიმდინარე

ამასთან, უნივერსიტეტი, ასევე პრიორიტეტულად გაითვალისწინებს:

- ✓ პოსტდოკების მიერ შემოტანილ განცხადებას (მათი საკვლევი არეების მიხედვით) და ხელს შეუწყობს შ. რუსთველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მონაწილეობას: თანადაფინანსებას, სხვა საჭირო აკადემიურ და ფინანსურ ხელშეწყობას
- ✓ თანამშრომლებისთვის (რომლებიც მოიპოვებენ გარე საგრანტო დაფინანსებას) თანადაფინანსებას, სხვა საჭირო აკადემიურ და ფინანსურ ხელშეწყობას
- ✓ უნივერსიტეტის პერსონალის და დტსუ-ს სამეცნიერო გარემოს წევრ ინსტიტუციებთან, ასევე უცხოელ კოლაბორანტებთან თანამშრომლობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (-ების) მიერ მოწოდებული და აკადემიური საბჭოს მიერ მხარდაჭერილი გარე საგრანტო კონკურსზე წარსადგენი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება
- ✓ სტუდენტთა და ახალგაზრდა მკვლევართა საპროექტო განაცხადებს (მათ შორის მიმდინარე კვლევების ფარგლებში და/ან ახალ საპროექტო წინადადებებს) აკადემიური მხარდაჭერით (წინადადებების საპროექტო ფორმაში „გადატანის“ ხელშეწყობა) და დაფინანსებით (სტუდენტთა და ახალგაზრდა შტატის კვლევებში ჩართვის სტიმულირების გაზრდის მიზნით); შენიშვნა: დტსუ-ს ბიუჯეტი იძლევა ამის შესაძლებლობას: მასში სამეცნიერო მიზნებისთვის შემოსავლების დაახლოებით 1/3-ის ამ მიზნით ათვისების შესაძლებლობა არსებობს, თუ არის „კარგი“ (სამეცნიერო ღირებული პროექტი) და/ან „საპროექტო წინადადება“, რომელსაც მოიწონებს აკადემიური საბჭო ან ექსპერტთა ჯგუფი, შექმნილია დტსუ-ში კვლევების დაფინანსების სპეციალური ფონდი.
- ✓ ინტერდისციპლინარულ კვლევებს: არსებულს (მაგნეტომგრძნობელობის) და ახალ შემოთავაზებულ (ინტერდისციპლინარულ) კვლევებს, გარემო ფაქტორების გავლენა ადამიანის სასიცოცხლო პროცესებისთვის მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ პროცესებზე.